# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 6 GEORGIAN OPINION NEW YORK, MAY, 1956

## 26 მაისი

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, ქართველი ერის ეროვნული მეობისა და თავისუფლების დღე.

26 მაისი ჩვენი ერის თავგანწირული ბრძოლის დროშაა; მოსკოვის მძიმე მონობის უღლის გადაგდებისათვის წარმოებულ ბრძოლათა დროშა!

26 მაისი ახალი დროშაა ქართველი ერის ძველი ყოფის, ძველთა ძველიდან მომდინარე აუწერელ გმირობით სავსე ბრძოლების, გარდასულ თაობებს რომ უწარმოებიათ ჩვენი ეროვნული მეობის და არსებობის შესანარჩუნებლად. როგორც დიდი ილია გვასწავლის, ამ აურაცხელ ბრძოლათა მეოხებით ჩვენ „გაუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ - თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს. დროშა ქართველებისა შუბის წვერით, ისრითა და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევინარჩუნეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ“.

საქართველოს მატიანეს ფურცლებზე აღბეჭდილია ქართველ მებრძოლთა ვაჟკაცობისა და გმირობის უამრავი თავგანწირვისა და თავდადების მაგალითი, რაც ამ ჩვენ, ზნეობრივად დაძაბუნების ეპოქაში ბევრს არა სწამდა, არა სჯეროდა და ლეგენდებად ეჩვენებოდა. 26 მაისის დროშის ქვეშ წარმოებულმა ბრძოლებმა გააცოცხლეს წარსულის ეს ლეგენდარული ამბები.

1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოჭრილ რუსულ-კომუნისტური ლაშქრის წინააღმდეგ წარმოებული ომი; დამარცხება, იმავე წელს სვანეთის აჯანყება, შემდეგ ხევსურეთისა და კახეთის, შემდეგ საქართველოს საერთო აჯანყება და ამის შემდეგ მუდმივი ბრძოლა და წინააღმდეგობა ხან ახდილი და ხან ფარული. ამ ბრძოლებში დაიღუპა შვიდი გენერალი (კ. აფხაზი, ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, ნ. გარდაფხაძე, ძმები ფურცელაძეები, ყარალაშვილი) და ავინ დასთვლის რამდენი მათზე დაბალი ხარისხის ოფიცერი. ისინი ერთი და იგივე სიტყვებით მიმართავდნენ დახვეტის წინ ჯალათებს: ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი სიცოცხლე შევწირეთ საქართველოს თავისუფლებასო!

მისმა უწმინდესობამ, კათალიკოსმა ამბროსიმ ბოლშევიკურ საპყრობილედან მიმართა ეპისტოლეთი მთელ კულტურულ კაცობრიობას და წამებულ საქართველოსთვის და მისი ეკლესიისთვის დახმარება და მფარველობა სთხოვა. პროკურორის მრისხანე მუქარაზე, ბოლშევიკურ ტრიბუნალში, მისმა უწმინდესობამ უპასუხა: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული სამშობლოს და მძორი თქვენი იყოს და რაც გინდათ ის უყავითო“. მიტროპოლიტი ნაზარი და მისი მთავარდიაკონი კუხიანიძე ურემზე დაკრული მიიტანეს წამების გოლგოთაზე.

უზარმაზარ რუსულ იმპერიას მხოლოდ პატარა საქართველომ გაუბედა კიდევ ერთხელ გასულ მარტში წინააღმდეგობა. ორას მილიონიან მოსახლეობაში მხოლოდ ქართველმა ერმა აღიმაღლა ხმა მონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ და მოსკოვის ტერორისტულ რეჟიმს უიარაღო ეკვეთა. ამ აქტით სწორედ კომუნისტურ ფსიხოლოგიაზე და მორალზე აღზრდილმა ახალმა თაობამ დაამტკიცა, რომ არც მათში ჩამქრალა ქართული მაჯის ცემა და თბილისის სიმაღლიდან მამაპაპურად დაიძახა: „სჯობს მონობაში გადიდ კაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარიო“.

იგივე მამულიშვილური თავგანწირვის ამაღლებული მორალი, ისევე ამაყად მიღება და დაცლა მოწამებრივი სიკვდილის ფიალისა, რაც ახასიათებდა ჩვენს სახელოვან წინაპრებს. იგივე გმირობის სურათი, როდესაც რუს ჯალათებს წარუდგნენ დიდი მწერლები, მეცნიერები, ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები, მოქალაქეები, გლეხები, მუშები.

თვით ქართველი კომუნისტები, რომლებიც რუსის ჯარს შემოუძღვნენ საქართველოში, უმრავლესობა პირველსავე წელს მიხვდა, რომ ბოლშევიკური იდეალებით დაბრმავებულნი, რუსული იმპერიალიზმის ბრმა იარაღი გახდნენ და შეეცადნენ დაპყრობილ სამშობლოსათვის მცირე ავტონომიური უფლებები მაინც შეენარჩუნებინათ. ამან წარმოშვა ის ეროვნული „უკლონიზმი“, რომელსაც შეეწირნენ ქართული კომპარტიის პირველი ლიდერები. ეს კომუნისტურ მორალზე აღზრდილი ქართველებიც ისე დაიხოცნენ, რომ არც ერთ მათგანს არ გაუკეთებია მონანიების სამარცხვინო განცხადება, რასაც ასე უხვად, დაუზარებლად და მოურიდებლად აკეთებდნენ მათი რუსი ამხანაგები.

ეს უშიშრობა და იდეისათვის თავდადების უნარი იყო და დარჩა ქართველი ერის ნიშანდობლივ თვისებად.

ასეთია ზნე და წესი იმ ერის, რომელსაც ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სიტყვით, მრავალჯერ დაუკარგავს თავისუფლება, მაგრამ მონობას და სხვის ბატონობას არასოდეს არ შერიგებია.

26 მაისის საქართველოც ამ გზით მიდის. იმავე დროშით, იმავე სიმტკიცითა და მხნეობით, თავდადებით და თავგანწირვით. იმავე მტკიცე რწმენით და გამარჯვების იმედით

სამარადისო დიდება 26 მაისის დროშის ქვეშ დაღუპულთ და გამარჯვება ქართველ ერს!

## მსოფლიოს აღრევის მიზეზები

V

სტალინის „მძიმე შეცდომები“ უცნობი არ იყო თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნიერებისათვის და მით უმეტეს მისგან დამონებული ქართველი ერის და მისი ემიგრაციისათვის. წარმოუდგენელია რომ ეს თვით რუსის ხალხის და რუსული კომუნისტური პარტიის მასისათვის ყოფილიყო უცნობი, მაგრამ პარტიული თუ უპარტიო მასსა იძულებული იყო თვალი დაეხუჭა და გუნდრუკი ეკმია ტირანისათვის. ამ გარემოების გახანგრძლივების ფხიზელი გუშაგები იყვნენ სწორედ სტალინის ის უახლოესი თანამშრომლები, რომლებმაც გასულ თებერვალში ქვა და გუნდა ესროლეს მათ მიერვე შექმნილ „შეუმცდარ ბელადს და ხალხთა მამას“.

ხრუშჩოვის განცხადება შეიცავს სიმართლის ნაწილს, რომელიც მრავალჯერ იქმნა დაწერილი და მხილებული ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებზე და რომლის გამოც თავისუფალი ქვეყნიერების თვალში სამართლიანად დაიმსახურა სტალინმა ისტორიაში არ ნახული სისხლის მსმელი ტირანის სახელი. მაგრამ რა მიზეზით და მიზნით მონდომა ხრუშჩოვმა დაემსხვრია მთელ რუსულ ისტორიაში ყველაზე ძლევამოსილი მფლობელი-ტირანის კულტი, რითაც საფრთხეში აგდებს საკუთარ ავტორიტეტსაც, რადგან თვითონაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლიან ეპოქასთან და სტალინის კრიმინალურ საქმეებთან. აი საკითხი, რომლის ახსნა დიდ სამსახურს გაუწევს რუსული საქმით დაინტერესებულ საზოგადოებას, ვინაიდან ხრუშჩოვის განცხადება დაედება საფუძვლად მომავალში რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკას. ცხადია რუსის ხალხის უინიციატივობა მყარსა და ხანგრძლივს ვერაფერს შექმნის და კაცობრიობა მუდამ მზად უნდა იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისათვის, მაგრამ ახალი დიქტატორის ძებნის პროცესში რაც მოხდა, ამის ახსნაც საინტერესოა. მრავალ ჰიპოტეზათა შორის, ზოგიერთებს ისეთი მდიდარი არგუმენტაცია აქვთ, რომ ლოღიკით სინამდვილეს გვაახლოებენ.

სტალინის სიკვდილით გამოწვეულ შინაგან კრიზის ზედ დაერთო იმავე მოტივით გამოწვეული, კრემლის ლიდერების პრესტიჟის დაცემა საერთაშორისო ასპარეზზე. მეორეს მხრივ, კრემლის პოლიტიკის სითაღლითე გაშიშვლდა და ცარიელი საპროპაგანდო სიტყვებით და ფრაზეოლოგიით კაცობრიობა აღარ ტყუვდებოდა და კრემლის ყოველგვარ განცხადებას ეჭვის თვალით უყურებდა. ამ ატმოსფეროს გასაწმენდად და თავისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად საჭირო იყო რაიმე სერიოზული აქტით ეჩვენებინათ თავიანთი განსხვავება წარსულისაგან და დაემტკიცებინათ, რომ არამც თუ არ ღებულობენ სტალინის მოქმედების პასუხისმგებლობას, არამედ მას ებრძვიან და ამსხვრევენ. ძველად იგივე მიქოიანი, მოლოტოვი, მალენკოვი, ვოროშილოვი და ხრუშჩოვი ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი რაც კარგია (რა?) საბჭოთა კავშირში სტალინის შექმნილია, ხოლო რაც ცუდია ტროცკისტების და სხვა მავნებლების და ამის გამო მათ კიდეც თავებს ვაყრევინებთო. ეხლა იგივე ორკესტრი ხრუშჩოვის დირიჟორობით ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში რაც ცუდია ყველაფერი სტალინის ბრალი ყოფილა. „არავინ იცოდა ხვალ ვის წააგდებინებდა თავსო“. რომ სტალინი იყო საუკეთესო განმახორციელებელი რუსული იმპერიალისტური მიზნების, რომ მან არამც თუ აღადგინა, არამედ ბევრად გადააჭარბა მეფეების რუსეთის საზღვრებს და რუსულ შოვინისტურ ლტოლვას გზა გაუხსნა და შარავანდედით შემოსა, ამაზე ხრუშჩოვ - ბულგანინი სდუმან და არას ამბობენ. არაფერი სთქვეს სტალინის მიერ დაპყრობილი ასზე მეტ მილიონ არა რუს ერებზე, სადაც სტალინმა რუსეთი გააბატონა და სხვების მიწა-წყალი რუსეთის საკუთრებად გამოაცხადა. ეს მათ პროპაგანდისტულ მიზნებში არ შედის. მთავარია კაცობრიობას უთხრან, რომ რუსეთში გაბატონებული ტირანული რეჟიმი, რომელმაც მოსპო ადამიანის უფლება და ცდილობს გარდაქმნას მისი სული, რომელმაც დააკანონა მოქალაქის გამუდმებული შიში და შიმშილში ცხოვრება, ყველას უფლების აყრა და თვითონ მითვისება, განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა; საერთაშორისო პოლიტიკაში პირობის დარღვევა და გაყალბება, მზაკვრობა და გაიძვერობა, არის არა რეჟიმის არამედ სტალინის პირადი თვისებების შედეგი და მისი უარყოფით თავიდან იხსნიან იმ მძიმე პასუხისმგებლობას, რომელმაც მათ ნდობა დაუკარგა და სახელი გაუტეხა. თუ მიზანს მიაღწიეს, მათ კვლავ გაეხსნებათ გზა თავისუფალ ქვეყნიერებაში თავისუფლად ინავარდონ და თავიანთი ჰეგემონიისათვის პროპაგანდა გასწიონ. მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა ხრუშჩოვის ეს მანევრი ემსახურება უცხოეთში მოსკოვის პრესტიჟის აღდგენას და თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნებში ხრუშჩოვ-ბულგანინისადმი ნდობის მოპოვებას. მაგრამ, ჩვენის აზრით, სტალინის კულტის დამხობა და 35 წლის მანძილზე ჩადენილ ბოროტებათა პასუხისმგებლად მხოლოდ სტალინის გამოყვანა, სწორედ სტალინისებური მეთოდია და ამ ცდაში კაცობრიობა ადვილად დაინახავს ძველი დიქტატორის ღირსეულ მემკვიდრეებს და ამიტომ, ამ გზით ვინმეს შეცდომაში შეყვანა გაუჭირდებათ. შეუძლებელია მკვდარი დიქტატორის ჩაქოლვით თავი გაინთავისუფლონ პასუხისმგებლობიდან სტალინის აქტიურმა თანამოღვაწეებმა და ის ქვეყანა სადაც ეს ცდა ხდება, თავისუფალმა ქვეყნიერებამ ტოლად, სწორად და საიმედო პარტნერად მიიღოს, შეუძლებელია, რადგან მთელი კაცობრიობის და მათში თვით საბჭოთა მოქალაქის მეხსიერებაში საბჭოთა რეჟიმი იმდენად არის დაკავშირებული სტალინის სახელთან, რომ ერთის დანგრევა ავტომატიურად უნდა იწვევდეს მეორის დანგრევასაც. ამ მხრივ-კი საბჭოეთში არაფერი გამოცვლილა. რეჟიმი კვლავ ფეხზე დგას ყველა თავისი ინკვიზიტორული ინსტიტუციებით და ხრუშჩოვ-მიქოიან-სეროვი მას ამაგრებენ. მათ უარყვეს მკვდარი სტალინი მის მიერ ჩადენილი დამნაშაური და სადისტური საქციელის გამო, რომლის აქტიური მონაწილენი, ხელის შემწყობნი და დამხმარენი თითონაც იყვნენ, მაგრამ შემოინახეს ის რეჟიმი, რომელიც ბოროტმოქმედებას და ტირანიას ქმნის და ასაზრდოებს. ქვეყნის კოლექტიური მმართველობის პრინციპს არავითარი ცვლილება არ შეუტანია საბჭოთა რეჟიმის სტრუქტურაში და პრაქტიკაში. მაშ რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ რაც ერთხელ უკვე მოხდა აღარ განმეორდება? რატომ არ შეიძლება დაუშვათ, რომ რეჟიმმა, რომელმაც წარმოშვა ტირანი სტალინი, შეიძლება წარმოშვას ახალი ტირანი?

მოსკოვის ახალი გეზი რომ გულწრფელი ყოფილიყო, ლოღიკურად ხრუშჩოვებს საბჭოთა რეჟიმის რადიკალური რეორგანიზაცია უნდა მოეხდინათ: მოესპოთ ინკვიზიტორული ინსტიტუციები და სტალინის მიერ დაპყრობილი და დამონებული ერებისათვის მიეცათ წართმეული თავისუფლება.

ამგვარად, სტალინის კულტის დამხობა, ხოლო მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპების შემონახვა და დაცვა იმ რეჟიმის, რომელსაც შეეძლო სტალინი შეექმნა და აეტანა და რომელიც არა სპობს ახალი ტირანების წარმოშობის შესაძლებლობას, გვაფიქრებინებს, რომ ამ აქციას, გარეშეების თვალის ახვევის გარდა, მიზნად უნდა ჰქონდეს თვით საბჭოთა კავშირის ხალხისთვისაც თვალების ახვევა.

სტალინის კულტის დამხობამდეც ლაპარაკობდნენ ძველი, სტალინური ბიუროკრატიის ახალი თაობით შეცვლაზე და განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობდნენ სამხედრო წრეების პოლიტიკური კომბინაციებიდან განთავისუფლებაზე და მისი განსაკუთრებული დანიშნულების გამო, მისთვის განსაკუთრებული მდგომარეობის შექმნაზე. ეს უკანასკნელი დიდ მნიშვნელოვანი არის. ყველას ახსოვს 1936-37 წლების სისხლიანი წმენდები, როდესაც მოსახლეობის სხვა ფენებთან ერთად ოფიცრებსაც მრავლად დააყრევინეს თავები. ხრუშჩოვმა ამის პასუხისმგებლობა მთლიანად სტალინს დააკისრა და ამ მომენტით ახსნა რუსული ჯარების საშინელი მარცხები მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, რაც მხოლოდ დარცხვენილი რუსული მხედრობის რეაბილიტაციისათვის არის მოგონილი. ამ წმენდების გარეშეც შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ სტალინის არმია, სადაც სამხედრო ხარისხებს არა სამხედრო ცოდნითა და დამსახურებით, არამედ პოლიტიკური და ჩეკისტური მოსაზრებებით არიგებდნენ, დიდ ბრძოლის უნარს გამოიჩენდა. მეორე გარემოება, რამაც მხედრები სტალინის წინააღმდეგ აამხედრა, თვით სტალინის სიხარბე და გაუმაძღრობაა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულში ამერიკული იარაღის წყალობით რუსული ჯარის წინსვლა სტალინმა მხოლოდ თავის დამსახურებად ჩასთვალა და ბრძოლის ველზე დამსახურებული მხედრები ყველა მის ჩრდილში მოექცა. ბუნებრივია, რომ ამან მათში გამოიწვია უკმაყოფილება და ხელსაყრელ მომენტში შურიც იძიეს. ამ მხრივ ხრუშჩოვის განზრახვა მხედრებისას დაემთხვა და ამ მომენტმა ისინი გააერთიანა. მესამე გარემოება საბჭოთა იმპერიაში ჩამწყვდეულ არა რუს ერებთან ურთიერთობაა. აქამდე საბჭოთა კონსტიტუციის (რომელიც არასოდეს არ გამოუყენებიათ) ძალით, აღიარებული იყო „კავშირში“ შემავალ ყველა ერთა თანასწორობა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე სტალინის დასტურით რუსის ერი გამოცხადდა საბჭოთა კავშირის სხვა ერების „უფროს ძმად“. ხოლო ომის პროცესში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტალინმა საჯაროდ განაცხადა „ომი მოიგო რუსის დიდმა ერმაო“, თავი აიშვა რუსულმა შოვინიზმმა და სათაკილოდ მიიჩნია სხვა ერებთან ტოლი და სწორი ყოფილიყო და იწყო უკვე დაპყრობილ და „საბჭოთა კავშირში“ ძალით შერეკილ ერების ხელახალი ოკუპაცია. სტალინის სიკვდილის შემდეგ ეს მომენტი უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა. სტალინის კულტის დამხობით, რუსი შოვინისტების მიზანია დაამტკიცონ, რომ ძლიერი რუსული იმპერიის შემქმნელია არა წარმოშობით არა რუსი სტალინი, არამედ რუსის ხალხის შემოქმედებითი გენია და მისი ბრძოლის უნარი. სტალინი თითქოს შემაფერხებელი მოვლენა იყო და არა ერთგული მსახური რუსული იმპერიალისტური მიზნებისა და უდიდესი მოღვაწე რუსული იმპერიის შემქმნელთა შორის.

ყოველშემთხვევაში ეს პროცესი დაიწყო მე 20-ე კონგრესამდე და ახლილად გამომჟღავნდა მე-20 კონგრესზე, მაგრამ ჯერ კიდევ მისი საბოლოო სახე არ არის გამოკვეთილი. ერთი კი ცხადია, რომ კომუნიზმი ვეღარ ფარავს რუსულ იმპერიალიზმს და სტალინის მიერ წამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბრამ ლინკოლნი

სალემის პირველი არჩევნებიდან, როცა ლინკოლნს ყველა მეზობლებმა ერთობლივად მისცეს ხმა, ცენტრალური ილინოისიდან მთელ ამერიკაში ნელა, მაგრამ თანდათანობითი სიმტკიცით ძლიერდებოდა აზრი, რომ დაიბადა ადამიანი, რომლისთვისაც ღმერთს მიუცია უნარი წინასწარმეტყველებისა; ცხოვრებას ხედავს ისე, როგორც სინამდვილეშია და რომლის გული არ იცნობს სიბოროტეს და შურსო. ერთ დღეს თურმე სოფლის მოძღვარს წირვიის გათავების შემდეგ ქადაგებაში უთქვამს: „ისინი (ე.ი. მონათ მფლობელები) პასუხს აგებენ ღმერთთან და ღმერთი გამოგზავნის კაცს, რომელიც იხსნის მათ (ე.ი. მონებს). დასასრულს ნახევრად აღელვებულს და ნახევრად მონობის მომხრე ბრბოს უთხრა: „ვინ გაანთავისუფლებს მათ? იცის ეს რომელიმე თქვენგანმა? ძმებო, მხოლოდ ერთი კაცი არის ამისათვის შექმნილი, რომელსაც ამის ძალა შესწევს და ეს ღვთით მოწოდებული ადამიანია აბრამ ლინკოლნიო“.

დღეს როდესაც გადავხედავთ ლინკოლნის მღელვარებით სავსე შარას —დაბურულ ტყიდან თეთრ სახლამდე — არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სოფლის მოძღვარის წინასწარმეტყველებას. ლინკოლნი მართლაც ან ღმერთისაგან იყო მოწოდებული, ან დემოკრატიულმა სისტემამ დაამტკიცა, რომ საჭირო მომენტში შეუძლია მოძებნოს საუკეთესო ადამიანი, რომელიც იხსნის ქვეყანას განსაცდელისაგან.

როდესაც ლინკოლნი პირველად წარსდგა თავისი თანამემამულეების წინაშე და სთხოვდა მისთვის ხმა მიეცათ, წარმოსთქვა მეტად ორიგინალური და მისთვის დამახასიათებელი სიტყვა: „ ჩემმა მეგობრებმა დამაჯერეს საკანონმდებლო ორგანოსათვის წარმოვადგინო ჩემი კანდიდატურა. ჩემი პოლიტიკური პროგრამა მეტად მოკლე და მარტივია: მე მხარს უჭერ ეროვნული ბანკის შექმნას (მკითხველი უფრო ქვევით დაინახავს ამის მნიშვნელობას) მხარს უჭერ შინა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მაღალ, მფარველობითი ბაჟს. ასეთი არის ჩემი გრძნობა და პოლიტიკური მრწამსი. თუ ამირჩევთ ვიქნები თქვენი უაღრესად მადლობელი, თუ არ ამირჩევთ ამით ჩემი თქვენდამი გრძნობა არ გამოიცვლებაო“ (ეს სიტყვა მეხსიერებით აღუდგენია და ჩაუწერია 1865 წელს ა. ელისომს). ამ პერიოდში ლინკოლნს შეუსრულდა 23 წელი და უკვე წარმოადგენდა დასრულებულ, დამუშავებულ პიროვნებას. ამ მოკლე სიტყვით გამოამჟღავნა თავის პოზიცია იმ დროს ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხების მიმართ და მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე არასოდეს მისთვის არ გადაუხვევია. ამ ხანში მან უკვე მოახერხა დაემყარებინა სოლიდარული ურთიერთობა ჰენრი კლეიმთან და „ვიგები“ს პარტიასთან. ეს იყო სწორედ 1832 წ. როდესაც ამერიკის იმ დროინდელი პრეზიდენტი ენდრიუ ჯექსონი ამთავრრებდა თავის პირველ ოთხ წელს და ჰენრი კლეი, ორ წლიანი ინტერვალის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა სენატს, იმ იმედით, რომ უმეთაურებდა ოპოზიციას და კიდევ დაიჭერდა პრეზიდენტის ადგილს. ეს ბრწყინვალე კენტუკიელი 1810 წ. იყო ერთი ეროვნული ლიდერთაგანი და ავტორი 1820 წ. მიღებულ ე.წ. „მისურის კომპრომისისა“, რომელმაც იმ დროინდელი გაგებით, თუ სავსებით ვერ გადასჭრა, ყოველშემთხვევაში სიმწვავე დაუკარგა და დღის წესრიგიდან მოხსნა მონობის საკითხი. ამ კომპრომისის ძალით იკრძალებოდა ახალი მონათმფლობელური შტატების გაჩენა მისურის სამხრეთის მიმართულებით. ეს კომპრომისი რომ არ დარღვეულიყო, არ მოხდებოდა ძმათა შორის სისხლის ღვრა — სამოქალაქო ომი და შეიძლება ლინკოლნის ცხოვრებაც სხვაგვარად წარმართულიყო. მონობის მომაკვდავი ინსტიტუცია არ გამოიწვევდა პოლიტიკურ ბრძოლას, რომ შ. შტატებს შეენახა თავისი პირვანდელი საზღვრები. 1789 წლის კავშირი შესდგებოდა ცამეტი შტატისაგან, ანუ ყოფილი კოლონიებისაგან, ამ შტატების დასავლეთის საზღვრებსა და მდ. მისისიპის შორის მდებარე თვალუწვდენელი ტერიტორიით. ზოგიერთ შტატებს ამ მიწაზე ჰქონდათ პრეტენზიები, მაგრამ 1802 წელს ამ მიწის მთელი უფლება გადაეცა ფედერალურ მთავრობას. ეს უზარმაზარი ფართობი კონგრესმა დაჰყო ცალცალკე ტერიტორიებად, რომლებსაც ენიჭებოდა შტატის უფლება მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობის მიღწევის შემდეგ.

ჩრდილოეთის შტატები, რომელთა მოსახლეობა შეადგენდა ახალ ინგლისიდან და ნიუ იორკიდან გადმოსახლებულებს, იქცნენ თავისუფალ შტატებად. მდ. ოჰაიოს სამხრეთით მდებარე ტერიტორია-კი, რომელზედაც დასახლდნენ ვირჯინიის, ჯორჯიას და ორივე კაროლაინიდან გადმოსახლებულები, იქცა მონათ მფლობელობის შტატებად. მიუხედავად ამისა დასაწყისში არ არსებობდა შტატებს შორის სერიოზული უთანხმოება. ჩრდილოეთში ვითარდებოდა ინდუსტრია და ინდივიდუალური მიწათ მეურნეობა. სამხრეთის შტატებში-კი მონურ შრომაზე დაყრდნობით ზრდიდნენ პლანტაციებს. 1819 წელს ორივე მხარე (სამხრეთი და ჩრდილოეთი) მიადგა მდ. მისისიპის ნაპირებს და თვითეულ მათგანში ითვლებოდა ცამეტი შტატი. უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ამით განიდევნებოდა ტერიტორიალური შუღლი. მაგრამ 1803 წელს პრეზიდენტ ჯეფერსონმა ნაპოლეონისაგან იყიდა საფრანგეთის კუთვნილი ტერიტორია, რომელსაც ეწოდებოდა ლუიზიანა და რომელიც გაყოფილია დღეს 30 ნაწილად. ამან გააორკეცა სახელმწიფოს ფართობი და ოთხჯერ გაზარდა სახელმწიფო მმართველობაში მყოფ მიწათა რიცხვი. სწორედ ამ ახალ შეძენილ მიწის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა ცნობილი „მისურის კომპრომისი“. ეს შეიქმნა გათიშვის მიზეზიც. ვის უნდა კუთვნებოდა ეს ტერიტორია, სამხრეთს თუ ჩრდილოეთს და შრომის რომელი სისტემით უნდა დამუშავებულიყო? აი საკითხი, რომელიც მთელი თავისი სიმწვავით დადგა ამერიკის იმ დროინდელი საზოგადოებრივი აზრის წინაშე და რომლის გადაჭრაზეც იყო დამოკიდებული ფედერაციის მომავალი სვე-ბედი.

**არ. დონაური**

(გაგრძელება იქნება)

## რა მოხდა საქართველოში?

მოსკოვის კოლონიალური და იმპერიალისტური პოლიტიკის ყველაზე ნათელ და ტრაღიკულ მაგალითს ვხედავთ საქართველოში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ამ ერთი თვის წინ მოხდა მოსკოვის საწინააღმდეგო ბრძოლები. აქაურმა პრესამ გაიმეორა მოსკოვის ვერსია და ეს ბრძოლა ახსნა ქართველი ხალხის სტალინისადმი სიმპატიით, რადგან უშუალოდ მოჰყვა მოსკოვში ხრუშჩოვისა და სხვების სტალინის საწინააღმდეგო გამოსვლებს.

ეს შეფასება ჩვენ მცდარად მიგვაჩნია და მოვიყვანთ მრავალ საბუთს, რომ თბილისის ბრძოლას სულ სხვა მიზანი ჰქონდა. ქართველების დღევანდელი მოქმედება რომ გასაგები გახდეს, საჭიროა მოკლედ მაინც მოვიგონოთ ახლო წარსული. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთმა საქართველო დაიპყრო 1921 წ. თებერვალში. ამას მოჰყვა უარყოფა ყველა იმ სულიერ ღირებულებათა, რომელნიც საქართველოს საუკუნეთა მანძილზე საკუთრივ შეუქმნია და ან სხვათაგან შეთვისებული თავის გაგებასთან და გემოვნებასთან შეუგუებია. ყველაფერი არსებულის, საუკუნოებით დამკვიდრებულის განუკითხავი ნგრევა, კულტურულ მიღწევათა უარყოფა, ცხოვრების ქართული გაგების, ქართული ფილოსოფიის ბოროტებად გამოცხადება და ახალი „წესრიგის“ დასაცავად უცხო და უხეში ძალის გაბატონება. ასეთი იყო ბოლშევიზმი.

შერიგება ამ პირობებთან, შერიგება გაბატონებულ ძალასთან — ეს იქნებოდა საკუთარი წარსულის დავიწყება და ერის მომავალზე ხელის აღება. მთელი თავის არსებობის ე.ი. 2 ათასი წლის მანძილზე არსებობისათვის ნაბრძოლი ერი ამ გზას ვერ დაადგებოდა. პირველი აჯანყება მოხდა 1921 წ. ზაფხულში, ე.ი. საბჭოთა წყობილების დამყარებიდან ექვსი თვის შემდეგ. ეს პირველი ბრძოლა მისცა სვანეთმა. 1922 წლის აგვისტოში აჯანყდა ხევსურეთი და ზემო ქართლი. 1924 წელს მთელ საქართველოში საერთო ეროვნული აჯანყებაა. 1927 წელს ლეჩხუმშია ბრძოლები. 1929 წელს აჭარაში. 1937 წლის „წმენდების“ დროს საქართველოში გაცილებით უფრო მეტი უპარტიო ნაციონალისტები დახვრიტეს, ვიდრე „მემარჯვენე“ ან „მემარცხენე“ კომუნისტები. აქტიური წინააღმდეგობა მეორე ომის დასაწყისამდე არ შეწყვეტილა. მეორე ომის დროს ტყეები სავსე იყო შეიარაღებული პარტიზანული რაზმებით.

გასაბჭოებიდან დღემდე დახვრეტილ და ციმბირში გადაკარგული ქართველების რიცხვი 300 ათას აღწევს (გადასახლებულია სხვა და სხვა დროს 200 ათასზე მეტი). რა როლი ითამაშა ამ საქმეში სტალინმა? საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს დაპყრობის ინიციატივა მოსკოვის პოლიტბიუროში ეკუთვნის სტალინს. მისივე ინიციატივით და ბრძანებებით ხდებოდა საქართველოში ყველა რეპრესიები. მისი ცნობილი გამოთქმები: „საქართველოს ცხელი უთო უნდა გადაუსვათო“ (1921 წ.) და „საქართველო ისევ უნდა გადაიხნასო“ (1924 წ.) ყველა ქართველმა იცოდა და დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ხალხს ასეთი სისხლის მღვრელი ტირანი უყვარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის წარმოშობით ქართველი იყო. პირიქით, იმ თაობისათვის, რომელსაც ახსოვს საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვა და 1924 და 1937 წლები, სტალინი იყო საქართველოს მოღალატე და უსაშინელესი მტერი. საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა საბჭოთა კავშირში რომელმაც სტალინის ბატონობის ხანაში მოსკოვის წინააღმდეგ სამი შეიარაღებული აჯანყება მოაწყო. ეს ფაქტი ლაპარაკობს არა ქართველების სიყვარულზე

წყებულ რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკას თავისი ერთგული გამგრძელებლები გაუჩნდნენ.

**დ. სინდიკელი**

წინა ნომერში ჩვენ ვაცნობეთ ჩვენს პატივცემულ მკითხველებს, რომ ჩვენმა თანამშრომელმა ბ-ნმა ალ. ცომაიამ გამოიყენა შემთხვევა და რუსეთის შესწავლის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ კრებაზე შეეხო ამა წლის მარტში თბილისში მომხდარ ბრძოლას. ვაქვეყნებთ ამ სიტყვის ქართულ, ოდნავ შემოკლებულ ტექსტს.

## რას ამბობს ისტორია?

ამ დროს აღა მაჰმად ხანი საქართველოსაკენ მოიწევს*. ამიერ კავკასიის საზღვრებში შემოსვლისთანავე ის მოციქულებს უგზავნის ერეკლეს და სწერს: „მე უკვე გადმოვლახე არაქსი, მაგრამ მაინც გიგზავნი მოციქულს, რომელსაც თითონ მოვყვები ჯარით. შენ განთქმული მეფე ხარ და არა მსურს შენი ვნება თუ შეასრულებ ჩემს ნებას. დამპირდი, რომ ხელს აიღებ რუსეთთან კავშირზე, გამომიგზავნე მძევლად ერთი შენი შვილი და ერთი შვილის-შვილი და მე დაუყონებლივ აქედანვე უკან გავბრუნდებიო“. მეფის მინისტრთა შორის, რუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგეთა მეთაური, სოლომონ ლეონიძე თავგამოდებით იცავს აღა მაჰმად ხანთან კომპრომისის მონახვის საჭიროებას. თავისი მჭერმეტყველების მთელის ძალით ცდილობს ის დაამტკიცოს, რომ სპარსეთის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქართველოსათვის უფრო ნაკლები უბედურება იქნება ვიდრე ომის დაწყება. ასევე ფიქრობს ამირ სპასალარი, სიძე ირაკლი მეორისა დავით ორბელიანიც. მაგრამ მეფემ ბრძოლის მიცემა ამჯობინა. აღა მაჰმად ხანის წინაშე კაპიტულაცია მან შეუძლებლად მიაჩნია. ერეკლე იწვევს თათბირს და დამსწრეთ მიმართავს შემდეგი სიტყვით: —„ჩემო ძმანო, ჩუენი გულოვანი ვაჟკაცობა ჩუენი მკლავის ძალა და ჩუენი ხმლის მჭრელობა დიდი ხანი არის რომ სპარსელებს აღარ უნახავთ. ეტყობა ეს მათ დავიწყებიათ. ამიტომ ეხლა ჩუენს ახალ მტერს, ხოჯა აღა მაჰმად ხანს დაგროვილი სპარსელები მოჰყავს ჩვენზე, ჩვენს დასამხობად. დეე მოიყვანოს, ერთი კიდევ გვნახონ და უკანასკნელად დაიჯერონ, რომ კიდევ ის ქართველები ვყოფილვართ, ისევ უშიშარი და უძლეველები. მაშ ამის შემდეგ ვინ რას იტყვით და რა რჩევას მოგვცემთ, როგორ დავხვდეთ მათსა ფუჭსა სიმრავლესა?“

თათბირს ერეკლე ურდგენს თავის გეგმას, სადაც სამხედრო საქმის დიდი ოსტატისათვის დამახასიათებელი სისწორით არის გათვალისწინებული ყოველი წვრილმანი:

„მე მინდა — ბრძანებს მეფე — აღა მაჰმად ხანი და მისი ჯარი ისე წავახდინო, რომ საქართველოდან ერთი მოამბე ყიზილბაში ვეღარ გავიდეს. მას უკან სპარსეთს რაც მინდა იმას ვაქნევინებ. მე აღა მაჰმად ხანს არსად არ შევებმი, მოვიყვან სოღანლუღის იქით მინდორში ჩამოვახდენ, მტკუარის მახლობლად. ამ დროს სოღანლუღიდან მცირე ჯარს დავანახვებ, მითომ ამაზე მეტი აღარა მყავს, რომ აღა მაჰმად ხანის ჯარი უფრო გათამამდეს. მაგრამ 40 ათასზე მეტი ჯარი ამ ქალაქის მოახლოვოდ ანუ იმის გარშემო მეყოლება დაფარულს ადგილებში, რომლებიცა ესენი არიან: ათი ათასი სოღანლუღის გაღმა ჭალაში იქნება დამალული, ყარაიაზის მხარეს. ათი ათასს იაღლუჯის ყელებში გავგზავნი; ხუთი ათასს გატეხილი ხიდისაკენ. ათი ათასს სოღანლუღის ყელებში დავაყენებ პირისპირ ყიზილბაშისა და დანარჩენის ჯარით და ზარბაზნებით (18 ზარბაზანი) მე ტაბახმელის გზაზე გადვივლი თელეთისაკენ და გათენებისას ყიზილბაშის ჯარზე მივალ და 18 ზარბაზანს ერთად დაუშენ მოუწყვეტლად, რომ ჯერ ამით ზარი დაეცეს ყიზილბაშებს. მერე 20 ათას ჩვენს მეომარს შევატევინებ და მე დანარჩენის ჯარით უკან შეუდგები. ამ დროს, იქით იაღლუჯის და აქეთ სოღანლუღის ყელის ჯარი, სწორედ ამ დროს გამოვლენ და სამის მხრივ გარს შემოვერტყმებით ყიზილბაშის ჯარს, რომ არსაითკენ არა ჰქონდეთ გზა თუ არ მტკუარისკენ. აქ მე დარწმუნებული ვარ, აღა მაჰმად ხანს ან ხელებ შეკრულს მოგვცემენ, ან თავისი ჯარი მოჰკლავს და ან ჩვენი ჯარი ხელში ჩაიგდებს. ამას ვიტყვი რომ ყიზილბაშის ჯარი თოფ-იარაღს დააწყობს და სულ ერთიან დაგვმორჩილდება. ღვთით იმედი მაქვს, რომ უსათუოდ დაგვმორჩილდებიან“.

ამ ოპტიმისტური გეგმის ავტორთან კაპიტულაციაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. სოლომონ ლეონიძის პარტია, იძულებული იყო, მეფის ურყევი ოპტიმიზმის წინაშე ქედი მოეხარა და გაჩუმებულიყო. თვით გეგმა მეფეს ისე შეედგინა, რომ ოპოზიციის კრიტიკას ნიადაგი ეცლებოდა: მეფე მხოლოდ საკუთარ ძალებზე ემყარება, რუსების დახმარება უკვე ანგარიშში არა აქვს, მათი ხსენებაც აღარ არის. ერეკლესათვის არაჩვეულებრივი ამ გეგმაში არაფერი იყო. მეფე რომელსაც თავის ცხოვრებაში 80 ბრძოლა და ამათში 30 ომი ჰქონდა გამოვლილი, ბუნებრივია, რომ თავის ავტორიტეტით სხვათა აზრს ჩრდილავდა. მისი სამხედრო გამოცდილებისადმი ნდობა იმდენად დიდი იყო, რომ თათბირი უკამათოდ იღებს მის გეგმას. იწყება ჯარის თავმოყრა. შიკრიკები იგზავნება იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან.

განჯის აღების შემდეგ აღა მაჰმად ხანი კიდევ აგზავნის მოციქულებს და ერეკლეს უმეორებს თავის წინადადებას. მეფის გადაწყვეტილებას ეს უკვე ვეღარ შესცვლიდა. ერეკლემ რუსეთის ორიენტაციის დაცვა და 1783 წლის პროტექტორატის შენარჩუნება არჩია.

რუსეთის მთავრობა და რუსული ჯარების კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენ. გუდოვიჩი ამ ამბებს შორიდან, უცხო და დაუინტერესებელი მეთვალყურის სიმშვიდით შეჰყურებდნენ. გენ. გუდოვიჩს სისტემატიურად მიდიოდა მოზდოკში უტყუარი ცნობები აღამაჰმად ხანის მოძრაობის შესახებ, მაგრამ ფორმალურად, საქვეყნოდ გამოცხადებული ხელშეკრულებით რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი, სწორედ რუსეთთან მეგობრობის გამო უდიდესი საფრთხის წინაშე მდგომ ქვეყნისათვის მიშველებაზე გუდოვიჩი არ ფიქრობდა. მას კარგად ახსოვდა თავისი მთავრობისა და იმპერატრიცის ბრძანება: „საქართველოში ჯარის გაგზავნა სასურველად არ არის მიჩნეულიო“. გუდოვიჩმა იცის რომ რუსეთმა საქართველო გასწირა და თუ ამ დღეებში რამე აწუხებდა, ეს უნდა ყოფილიყო ეჭვი, რომ ერეკლეს იქნებ რუსების დახმარების გარეშეც ომი მოეგო. ეს იქნებოდა რუსეთის იმედების კიდევ ერთხელ გაცრუება და დიდი ხნიდან შემუშავებული გეგმის ჩაშლა.

ქართული ჯარების თავმოყრა ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, როცა სპარსეთის ჯარი საქართველოს საზღვრებს მოადგა. ძველი, ფეოდალური დროის სამობილიზაციო სისტემით, საერისთაო - სამთავროებში ცალ-ცალკე ჯარების დაგროვებას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე შექმნილი მდგომარეობა ნებას იძლეოდა. დანიშნულ დროისათვის ჯარისკაცთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა. ერეკლე იძულებული გახდა ბრძოლის გეგმა საფუძლიანად შეეცვალა და მტერს იმ ძალებით შეეგება რომელიც ჰყავდა.

კვირას, 9 სექტემბერს 1795 წლისა, აღა მაჰმად ხანი თბილისიდან 10 კილომეტრზე დაბანაკდა. თავის ბანაკის წინ მან ღრმა ორმოები დაათხრევინა, რომ ღამით ქართველების თავდასხმიდან თავი დაეცვა.. ორშაბათს, 10 სექტემბერს ის სოღანლუღით თბილისისაკენ დაიძრა. დილის სქელი ნისლი ქართველების პოზიციებს სავსებით ჰფარავს. სპარსელები ვერაფერს ჰხედავენ, ამიტომ დიდი სიფრთხილით მოიწევენ. 8 საათისათვის ნისლი

---

*) იხ. დასაწყისი „ქართული აზრი“ № 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინისადმი, არამედ პირიქით. მაგრამ საინტერესოა გადავხედოთ რა ხდებოდა თვით ქართველ კომუნისტთა შორის, კომუნისტურ პარტიაში? ვინც არ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში, შეუძლებელია მასზე ხალხის ერთსულოვანმა განწყობილებამ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინოს. შეიძლება ქვეყანას მანიაკი მოექცეს სათავეში, როგორც ეს სტალინის შემთხვევაში იყო, მაგრამ ხალხის საერთო სულისკვეთებას სრულიად უყურადღებოდ ვერც ის დასტოვებს. ამიტომ შეუძლებელი იყო ქართველი ხალხის განწყობილებას გავლენა არ მოეხდინა თვით ქართველ კომუნისტებზე. ისინი მშვენივრად ხედავდნენ, რომ მოწინააღმდეგეთა არგუმენტების უარყოფა და დარღვევა შეუძლებელი იყო. რაც უფრო მაღლა, დიდი თანამდებობისაკენ მიიწევდა კომუნისტი, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მოსკოვი იყო ნამდვილი დამპყრობელი, რომელიც არა რუს ერებს სულთამხუთავად აჯდა. ამაში ყველაზე უკეთ რწმუნდებოდნენ სწორედ ის კომუნისტები, რომლებიც უმაღლეს თანამდებობებზე ისხდნენ. ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი და სხვები, ქართველი კომუნისტების ძველი კადრიდან, ქვეყნის სათავეში იდგნენ და მოსკოვიდან უშუალოდ იღებდნენ აშკარა თუ საიდუმლო დირექტივებს და ამიტომ შეუძლებელი იყო არ დაენახათ, რომ საბჭოთა კონსტიტუცია, ერების თანასწორუფლებიანობაზე ლაპარაკი და სხვა ამგვარი მაღალფარდოვანი ფრაზები, მხოლოდ თვალთმაქცობა იყო მოსკოვის უხეში, იმპერიალისტური ზრახვების დასაფარავად. ამის დანახვამ და ქართველი ხალხის ერთსულოვანმა ბრძოლამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს კომპარტიის მეთაურობაზე და უკვე 1922 წელს, საქმე აშკარა ოპოზიციამდე მივიდა. ეს იყო საბჭოთა ტერიტორიაზე, კომუნისტურ პარტიაში პირველი ახდილი ოპოზიცია. მოსკოვმა ამ ოპოზიციონერებს „უკლონისტები“ უწოდა და უმრავლესობა თანამდებობიდან მოხსნით და ციმბირში გადასახლებით დასაჯა. რუსეთის კომუნისტურ ე.წ. მონოლიტურ პარტიაში ამ დროიდან იდეური მთლიანობა არასოდეს აღარ დამყარებულა, მაგრამ აქ არ ვეხებით სხვა და სხვა სახის „გადახრებს“, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კომპარტიაში. ჩვენ ვეხებით მხოლოდ „ეროვნულ გადახრას“, რომელსაც კრემლი სხვა და სხვა დროს კონტრრევოლუციას, „მემარჯვენე გადახრას“, „ფაშიზმს“, „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“ და სხვ. უწოდებდა. უკლონისტების პოზიციისათვის დამახასიათებელი იყო პარტიის ძველი წევრის ნ. ცერცვაძის ენამოსწრებული გამოთქმა: „მართალია მარქსმა სთქვა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო, მაგრამ მას არასოდეს არ უთქვამს, რომ რუსებმა თბილისში მოიყარეთ თავიო“. რუსულმა პოლიტიკამ ზომიერება საერთოდ არასოდეს არ იცოდა და ეს თვისება მოსკოვს არც ჩვენს დროში აღმოაჩნდა, თუმცა კომუნისტური იდეოლოგია ერების მიმართ სულ სხვა მიდგომას მოითხოვდა. ბ. მდივანი, ძმები ოკუჯავები, ვ. კიკნაძე, პ. საყვარელიძე, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე და სხვები სწორედ ამ კომუნისტურ იდეოლოგიიდან გამოდიოდნენ, როცა საქართველოსთვის პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდნენ, ე.ი. იმას რაც შემდეგ იუგოსლავიაში ტიტომ განახორციელა. ქართველი უკლონისტები ორგანიზაციულად და თუ გნებავთ ფიზიკურად დაამარცხეს, მაგრამ თვით იდეები ადამიანებზე უფრო გამძლე და ცხოველმყოფელი აღმოჩნდა. ამას მოწმობს იმ დროიდან დღემდე წარმოებული წმენდები ყოველ დარგში: პარტიაში, კომკავშირში, სამეცნიერო დაწესებულებებში, ადმინისტრაციაში, პროფკავშირებში, ჯარში, ინდუსტრიაში, რკინის გზებზე და ყველგან, ყოველ ორგანიზაციაში. ციმბირში იძულებით სამუშაოებზე სასიკვდილოდ განწირულ თუ დახვრეტილ კომუნისტთა შორის ქართველების რაოდენობა საკმაოდ დიდ პროცენტს წარმოადგენს. ჩამოვთვალოთ მხოლოდ მეთაურები, მხოლოდ ისეთები, რომლებსაც რესპუბლიკის მასშტაბით საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირათ: მამია ორახელაშვილი და მისი მეუღლე მარიამი, ბ. მდივანი, მ. კახიანი, ლ. ლოლობერიძე, ს. მამულია, თ. ჟღენტი, მ. ტოროშელიძე, ვ. ალნიაშვილი, შ. მათიკაშვილი, გ. დევდარიანი, გიორგობიანი, გოგლიძე, კეკელია, ე. ბედია, ალავერდაშვილი, ნანეიშვილი ქართველიშვილი, ელიავა, კილაძე, ჟორჟიკაშვილი, ლორთქიფანიძე, ჟორჟოლაძე, დ. კანდელაკი, კუჭაიძე, კ. ჩარკვიანი და მთელი მისი თანამშრომლები. გენერლები: თუხარელი, ქუთათელაძე, ბუაჩიძე, მიროტაძე და სხ. თვითეულ აქ ჩამოთვილს ეჭირა საქართველოს ბედის გადამწყვეტი თანამდებობა, იყო ან მთავრობის თავმჯდომარე, ან მინისტრი, ან პარტიის ცეკას მდივანი. ყველას ერთი და იგივე ბრალდება ჰქონდათ: „ნაციონალისტური გადახრა“. თვითეულის მოხსნას და დაპატიმრებას თან სდევდა ასობით და ზოგჯერ ათასობითაც ნაკლებ ცნობილი კომუნისტების და უპარტიო თანამშრომლების დაპატიმრება, გაციმბირება და ან ადგილზევე დახვრეტა. თანდათან მოსკოვს უძნელდებოდა მისი დირექტივების უკრიტიკოდ შემსრულებელი კადრების პოვნა. კანდიდ ჩარკვიანი, რომელიც 12 წელიწადზე მეტი იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი და მაშასადამე ქვეყნის უმაღლესი მმართველი, 1952 წელს გადააყენეს და წაუყენეს იგივე ბრალდება: „ნაციონალისტური გადახრა და ხელის შეწყობა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფის იდეისათვის“. საბჭოთა კავშირში ეს საშინელი ბრალდებაა. ჩარკვიანს მოუვიდა, რაც უნდა მოსვლოდა: 12 წლის მანძილზე მან აშკარად დაინახა თუ რა საშინელ, დაუძლეველ სიმძიმედ აწევს და ახრჩობს მოსკოვი საქართველოს. თავის მდგომარეობით ის იძულებული იყო ქართველი ერის სულიერ თვისებებს დაკვირებოდა და ამ დაკვირვების შედეგად მან ზოგიერთი სწორი დასკვნებიც გააკეთა. ამ დროიდან ის მოსკოვისათვის მიუღებელი იყო. მოსკოვს ჰირდება ერთგული ლაქიები და არა დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანები. როგორც კი ჩარკვიანმა აზროვნების უნარი გამოამჟღავნა, ის განწირული იყო. მასთან ერთად დაისაჯა პრემიერ მინისტრი ჩხუბიანიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი რაფავა, უმაღლესი საბჭოს მდივანი გოგუა, პრემიერის მოადგილე კეცხოველი, კვებისა და სასურსათო ინდუსტრიის მინისტრი ყრუაშვილი, იუსტიციის მინისტრი ჩუბინიძე, სახელმწიფო კონტროლის ფალავა, ფინანსთა სტურუა; საქ. კომპარტიის პოლიტბიუროს წევრები ბარამია და ზამბახიძე; თბილისის კომიტეტის მდივანი ჯიბლაძე; ცეკას პროპაგანდის უფროსი ჯიჯინაშვილი; თბილისის რაიკომის თავ-რე ბაქრაძე; კომკავშირის ცეკას მდივანი, აჭარისტანის უმაღლესი საბჭოს თავმ-რე დავითაძე და მრავალი სხვები. ეს მოხდა 1952 წ. აპრილში. მოსკოვიდან დანიშნულმა ახალმა მდივანმა აკაკი მგელაძემ ჩარკვიანს „ნაციონალისტური შხამით გასუქებული ნაგაზი“ უწოდა და აღუთქვა მოსკოვს, რომ სასტიკ ზომებს მიიღებდა ჩარკვიანის ყველა მომხრეთა მოსასპობად. 1953 წ. გაზაფხულზე კიდევ ახალი წმენდები მოხდა. გადააყენეს ა. მგელაძე და მისი მთავრობა და ზედ მიაყოლეს ყველა მის მიერ დანიშნული პირები. ქვეყნის სათავეში მოექცა ვ. ბაქრაძე. მაგრამ არც ბაქრაძე დარჩა ბევრ ხანს. 5 თვის შემდეგ, ე.ი. 1953 წ. 20 სექტემბერს თბილისის რადიომ გვაცნობა, რომ ბაქრაძე და მისი თანამშრომლები გადაყენებული და დაპატიმრებული არიანო. სტალინის სიკვდილიდან ბერიას ლიკვიდაციამდე თითონ ამ ჯალათმა მოასწრო ორი მასიური წმენდის ჩატარება. ხოლო ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ დღემდე ხან ნაწილობრივ და ხან მთლიანად უკვე **მეშვიდეთ** იცვლება პარტიული და ადმინისტრატიული კადრის შემადგენლობა. ბერიას მოსპობის შემდეგ საქართველოში მთელი ძალაუფლება ჩაბარდა რუსული ჯარების მთავარსარდალს გენ. ანტონოვს. ერთ ხანს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ გენ. ანტონოვმა 10 სანდო კაციც ვერ იშოვნა, რომ მათთვის საქართველოს მთავრობა და მინისტრები დაერქმია. ამიტომ შარშან, პირველი მაისის დღესასწაულზე თბილისელ მუშებს საქართველოს მთავრობის სახელით მიესალმა თვით გენ. ანტონოვი! შემდეგ უკრაინაში გამონახეს ხრუშჩოვის ყოფილი თანამშრომელი, ვილაც მჟავანაძე და მას ჩააბარეს ცეკას პირველი მდივნობა. მჟავანაძეს გაუჭირდა „მთავრობის“ შედგენა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ „მთავრობის“ შემადგენლობას ყოველ ორ-სამ თვეში ცვლიან. ამა წლის იანვრის 28-ს თბილისის რადიო იუწყებოდა, რომ მოხსნილია თანამდებობიდან „მინისტრთა საბჭოს თავმ-რე დავით მალაქიშვილი“ და ხუთი სხვა მინისტრი.

დაიწყო სრულიად დაუფარავად, ახდილად და „დარტყმითი წესით“ ქართველების გარუსების პროცესი: დაბებსა და სოფლებში ქართულის ნაცვლად რუსული სკოლების გახსნა, საქმის წარმოებისათვის რუსული ენის შემოღება, ქუჩებისა და დაწესებულებების წარწერების რუსულად გადაკეთება. სკოლებსა და უნივერსიტეტში რუსული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საათების გადიდება და მთელი რიგი საგნების მხოლოდ რუსულად სწავლების შემოღება. თბილისის გაზეთები ბეჭდავენ მიყრუებული სოფლების „თხოვნებს“, რომ მათთვის გაიხსნას რუსული სკოლები. ამ „თხოვნებს“ მთავრობა, რასაკვირველია საჩქაროდ აკმაყოფილებს. რუსი მოხელეები ჩაერიენ ყოველ საქმიანობაში და ყოველ კუთხეში ყველაფერი საკუთარ კონტროლს დაუმორჩილეს. მოსკოვისათვის ყოველი ქართველი საეჭვო გახდა. შეიქმნა აუტანელი პირობები. ხალხი აქტიურ წინააღმდეგობას დაერიდა მასიური რეპრესიების შიშით, მაგრამ მონახეს სხვა გზა: რუსულ ენას ბოიკოტი გამოუცხადეს! იანვარში თბილისში ნამყოფი ერთი უცხოელის ცნობით თბილისელი მილიციონერიც-კი რუსულად პასუხს აღარ იძლეოდა. ამას მოყვა ახალი რეპრესიები. თებერ

---

იფანტება. შავ-ნაბადას მთიდან აღა მაჰმად ხანს საშუალება ეძლევა ვაკე ადგილებს შორს გადახედოს და ქართველების პოზიციები დაინახოს. სპარსელები იწყებენ იერიშს. ამ დრომდე ერეკლემ უკვე მოასწრო თავისი ჯარის დავლა და გამხნევება. მეფემ მოაგონა მებრძოლებს, რომ ამ ადგილებიდან უკან დახევა თბილისის განწირვა იქნებოდა. კრწანისის ველზე გაჩაღდა ზარბაზნის სროლა: დავით ბატონიშვილი სპარსელების იერიშს არტილერიის ძლიერი ცეცხლით დაუხვდა. ამან მტრის ბანაკში დიდი მსხვერპლი და არევდარევა გამოიწვია. ხელსაყრელი მომენტით მოხერხებულად სარგებლობს ბატონიშვილი და ხმლით იერიშზე გადადის. იერიში ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ მტერი შეკრთა და უკან გაქცევა დაიწყო. ბატონიშვილის ნაწილმა გაქცეულებს ერთ ხანს სდია და მათი გაფანტვის შემდეგ კვლავ ძველი პოზიციები დაიჭირა. არტილერიის ცეცხლი გრძელდება. მარჯვედ ნიშანში ამოღებული მტრის ორი ზარბაზანი ჩუმდება. ამ დროს შავ-ნაბადას გორაკზე პატარა ტანის ქოსა კაცი გამოჩნდა: ეს იყო ირანის მრისხანე მბრძანებელი. ბრძოლებისათვის თვალის გადავლების შემდეგ, ის ახალ ნაწილებს აშველებს უკან დახეულ ჯარს. მაშველის მოსვლითა და თვით შაჰის გამოჩენით გამხნევებული სპარსელები ახალი ძალით უტევენ დავით ბატონიშვილის პოზიციებს. ზარბაზნის კარტეჩი დაუზოგველად სცელავს ყიზილბაშს, მაგრამ დახოცილებს ახალი ნაწილები სცვლის. ირანის ჯარი მთელი თავისი ძალით ამ ადგილს უტევს. ბრაზმორეული შაჰი ცდილობს სწორედ აქ გაარღვიოს ქართველების თავდაცვის ხაზი. ერეკლე მაშინვე მიუხვდა შაჰს და თითონაც, დავითს ახალი ძალები მიაშველა: „ძმებო, ჰხედავთ მთის წვერზე შაჰს? მაგას აჩვენეთ როგორ იბრძვიან ირაკლის მეომრები!“ მეფის ეს მოკლე მოწოდება საკმარისი იყო მებრძოთა გასამხნევებლად. ქართველები მეორედ გადადიან იერიშზე და უკუაგდებენ მტერს. ბრძოლა სასტიკ ხასიათს იღებს. მეომართა არაჩვეულებრივ ვაჟკაცობასა და გმირობას განცვიფრებაში მოჰყავს თვით სპარსელები: „მე არ მახსოვს, რომ როდისმე ჩემს მტრებს ასე ვაჟკაცურად ებრძოლოთო!“ — ამბობს აღა მაჰმად ხანი, და ასეთი წინააღმდეგობით გაღიზიანებული კიდევ ახალ ნაწილებს აშველებს ფრონტის გასარღვევად. ქართული პოზიციების გასამაგრებლადაც, ერეკლეს ბრძანებით ბატონიშვილს კიდევ ერთი ათასეული ეშველება. ზარბაზნების ქუხილმა და რამდენიმე ათასი თოფის გრიალმა, მოიერიშეთა ყიჟინამ და ცხენოსანი ნაწილების ხმაურმა, დაჭრილების გმინვამ და ხმალ-სატევრების ელვამ კრწანისის ველი ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად აქცია და ეს ჯოჯოხეთი ყოველ წუთს ასეული ადამიანების სიცოცხლეს ნთქავდა. სპარსეთის ბატონი სიბრაზისაგან ცოფს აფრქვევს, საჭურისის მუდამ დამანჭულ სახეს ადამიანის იერი შორდება. კრწანისის ველი რამდენიმეჯერ ხელიდან ხელში გადადის. ბრძოლის ბედი გადასწყვიტა ქართლისა და იმერეთის ცხენოსანი ნაწილის ჩარევამ, მტრის იერიში მესამედ კიდევ დამარცხდა.

ერეკლე კმაყოფილი გაჰყურებს თავის მეომართა გმირობას. მთის არწივივით მისი თვალები ყველაფერს ამჩნევს. ძველ მეომარს სისხლი უდუღს, თავის შეკავება უჭირს. ბრძოლებში გაჩვეული მკლავი ბრძოლისაკენ მიიწევს. გული ველარ ითმენს. 79 წლის მოხუცი ხელს ავლებს ერთ დროშას, რომელზედაც ერთის მხრივ ღვთისმშობელი და მეორე მხრივ წმ. გიორგია გამოსახული და ხუთასამდე რჩეული მეომრით ბრძოლის შუა გულში იჭრება. მოხუცი ერეკლეს პირადი ვაჟკაცობით წახალისებულმა ქართულმა ჯარმა ერთხმად ყიჟინა დასცა და მთელი ფრონტი შეტევაზე გადადის. მეფე სხვებს უსწრებს, მისი ცხენი წინ მიჰქრის. ერეკლეს ფეხ და ფეხ მისდევს მისი შვილისშვილი, მეფე იმერეთისა სოლომონ მეორე. უკნიდან მოსჩანს ერეკლეს გათეთრებული თავი, რომელსაც დაჰფრიალებს წმ. გიორგის დროშა. ერეკლე იმ გორაკისაკენ მიჰქრის საცა ირანის შაჰი დგას თავისი შტაბით. აღა მაჰმად ხანი შეკრთება. წამით ყოყმანობს, მაგრამ თავის გულადობით ირან-ავღანისტანშიც სახელგანთქმულ რაინდთან პირისპირ შებმას ველარ ბედავს და საჩქაროდ სტოვებს ამ ადგილს. ერთ წუთში ერეკლე და სოლომონი იქ გაჩნდებიან. შაჰი გაქცეულია! ერეკლეს იერიშის ელვისებურმა სისწრაფემ და შაჰის გაქცევამ ირანის ჯარზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა: ჯარმა ქართველებს ზურგი აჩვენა. გამარჯვებული ქართველი მხედრობა მთელ ფრონტზე უტევს და სპარსელები ყველა გამაგრებულ პოზიციებს ჰკარგავენ. საღამოს ამ ცნობამ თბილისამდე მიაღწია. გახარებული მოსახლეობა ქუჩებსა და მოედნებს ეფინება. მეფის სასახლის წინ თავმოყრილი ხალხი მოუთმენლად მოელის საზეიმო ცნობის დადასტურებას. სასახლის აივნიდან ერეკლეს მეუღლე, დედოფალი დარეჯანი კმაყოფილი ღიმილით ადასტურებს ამ ამბავს. საერთო აღფრთოვანებაში მხოლოდ ერეკლეა თავშეკავებულად. მეფემ იცის, რომ ომი არ გათავებულა და მეორე დღისათვის ემზადება. ღამით, საჭირო სიფრთხილის დაცვით მეფე თავის ძალებს შემდეგნაირად ანაწილებს: ავანგარდის სარდლად ინიშნება იოანე ბატონიშვილი. მისი ნაწილი შესდგება შერჩეულ ქვეითა და ცხენოსან ნაწილებისაგან, რომელიც იკავებს კრწანისის ვაკეს. ფრონტის ცენტრალურ ნაწილს იჭერს თვით მეფე ვახტანგ ბატონიშვილისა და ოთარ ამილახვარის თანხლებით. მარჯვენა ფრთის უფროსობა ენდობა წინა დღის ბრძოლების გმირს დავით ბატონიშვილს. მისი არტილერია თავსდება მაღლობებზე, საცა ტაბახმელას გზა სოღოლაკ-თბილისისაკენ ეშვება. მეფის მარცხნივ საფრდებიან იმერეთის ნაწილები ზურაბ წერეთლისა და თვით მეფის, სოლომონის მეთაურობით. უფრო მოშორებით, მარცხნივ პოზიციები უჭირავს მარცხენა ფრთის სარდალს ივანე ბაგრატიონ მუხრანელს (რუსეთთან „ტრაკტატის“ ერთი ხელისმომწერთაგანი).

პირველი დღის ბრძოლამ დიდი მსხვერპლი შეიწირა. ირანელების მხარეზე დახოცილთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ შაჰის ჯარი მაინც გაცილებით სჭარბობდა ქართულს. მტრის რიცხვითი უპირატესობის მიხედვით, მომავალი ბრძოლა ქართველებისათვის სახიფათო იყო, მაგრამ მეფეს თავისი მეომრების ხარისხის იმედი ჰქონდა. გარდა ამისა, შეუძლებელი არ იყო, ღამის განმავლობაში ახალ მაშველ ძალებსაც მოესწროთ.

თავის მხრივ შაჰიც მზადებაშია. პირველი ბრძოლების დიდი მარცხით გათავება მას აფიქრებინებს ბრძოლაზე ხელი აიღოს და უკან დაბრუნდეს: „მე ვიცნობ ირაკლის, ის დიდი ნადირის მოწაფეა, მას სხვა ჯარებიც ეყოლება და რაღაც საფრთხეს მიმზადებს. ასე რომ არ იყოს, ასეთი სითამამითა და თავგამოდებით ვერ იბრძოლებდაო“ — ეუბნება შაჰი განჯის ხანს ჯევადს. ეს უკანასკნელი ახალი შეტევის მომხრეა და ცდილობს შაჰი დააჯეროს, რომ ერეკლეს სხვა ძალები არა ჰყავს და რომ ამ ხაზის გარღვევის შემდეგ თბილისი დაცემულია. ამ დროს შაჰს მოჰგვრიან თბილისიდან გაპარულ ერთ სპარსელს. მისგან აღა მაჰმად ხანი გაიგებს თბილისისა და მაშველი ჯარების მდგომარეობას. ამ ცნობების მიხედვით შაჰი აზრს იცვლის. მასში კვლავ იღვიძებს იმედი და გადასწყვეტს მეორე დილით შეტევა განაახლოს. მთელი ჯარი მან 14 ნაწილად დაჰყო და თვითეულს საკუთარი ამოცანა დაუსახა.

დილის 8 საათისათვის სპარსელები იერიშს იწყებენ. ერთი ნაწილი მოდის სოღანლუღის მთებით. მეორე — შავნაბადაზე. მესამე — თელეთითა და კრწანისით. ყარაბაღის მელიქი მეჯნუნი მთის ბილიკებით ქართველების ზურგში მოსავლელად იგზავნება. სპარსეთის ჯარის საუკეთესო მეომრები, მაზანდერანის ქვეითა ნაწილები შაჰმა სათადარიგოდ დასტოვა. ჯარისკაცთა უკან დახევის შემთხვევაში მათთვის გზის მოსაჭრელად, 6 ათასი დაქირავებული თურქმენი თავის ჯარს ზურგში დაუყენა და უბრძანა დაუყონებლივ მოეკლათ, ვინც უკან გაიქცეოდა. თუ მოვი-

ველში, თბილისის რადიოს ცნობით, მთელ საქართველოში მოხსნეს სამსახურიდან, რადგან თურმე „ხელს უშლიდნენ რუსული კულტურის ზრდას“, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, 2.800 კაცი. ერთ უცხოელ დიპლომატს უსაუბრია მოსკოვში ვიღაც ქართველთან. ამ ქართველს ახდილად უთქვამს: „საბჭოთა კავშირში დღეს ქართველების მდგომარეობა ცოტათი განსხვავდება ჰიტლერის გერმანიაში ურიების მდგომარეობიდანო“.

ამ საშინელი მდგომარეობის შედეგია მარტის ამბები. ხალხმა ველარ აიტანა მოსკოვის უხეში პოლიტიკა და საპროტესტოდ ქუჩაში გამოვიდა. დემონსტრანტებს გაზეთ „ზარია ვასტოკას“ ცნობით წინ მიუძღოდათ სტალინის სურათები და ლოზუნგები: „გაუმარჯოს სტალინის კონსტიტუციას! ძირს ხულიგნები და პროვოკატორები!“

თვით ეს ლოზუნგები ამჟღავნებს დემონსტრაციის ხასიათს და მიზნებს: „გაუმარჯოს სტალინის კონსტიტუციას“, რადგან ამ კონსტიტუციით ხალხს კულტურული ავტონომიის ნასახი მაინც ჰქონდა და ეხლა ესეც წაართვეს. ხოლო სიტყვა „ხულიგნებს“ რუსეთში და კავკასიაში გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, აქვს განსაზღვრული პოლიტიკური მნიშვნელობაც. „ხულიგნებს“ ეძახდნენ ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეებს და პარტიას, რომელიც არ სცნობდა სხვა ერების უფლებებს. მაშასადამე მოსკოვის დღევანდელი პოლიტიკა მიაჩნიათ ასეთ „ხულიგნურ“ პოლიტიკად და მარტის ბრძოლები იყო ამის საწინააღმდეგო ბრძოლები. თქმა არ უნდა, რომ სტალინს გულწრფელი პატივისმცემლებიც ეყოლება საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამ შემთხვევაში სტალინის სურათი რომ მხოლოდ ხერხი იყო დემონსტრაციის ბოლომდე მისაყვანად, ამას მოწმობს „ზარია ვასტოკას“ ცნობა გადმობეჭდილი „ნიუ იორკ ტაიმსის“ მიერ 27 მარტს და სადაც ნათქვამია რომ ქართველი სტუდენტები თურმე სრულებით არ ესწრებოდნენ მარქსიზმ - სტალინიზმის და რუსული ისტორიისა და ლიტერატურის ლექციებს და პროფესორებს აუდიტორიები ცარიელი ხვდებოდაო. ეს ფაქტი არ ლაპარაკობს ახალგაზრდების სტალინისადმი სიყვარულზე. ჩვენის აზრით სულ სხვა რამის მაჩვენებელია. „ზარია ვასტოკა“ აღიარებს, რომ „სტუდენტობა გატაცებულია საქართველოს ძველი ისტორიითო“ ე.ი. იმ დროის ისტორიით, როცა საქართველო თავისუფალი იყო. ეს ცნობა ვერ ეგუება დემონსტრაციაზე სტალინის სურათებს. ჩვენის აზრით აქ საქმე გვაქვს ეშმაკურ ხერხთან. ასეთი შემთხვევები ახსოვს რუსეთის რევოლუციონურ ისტორიას. მაგალითად, პეტერბურგში 1905 წლის 9 იანვრის მასიურ დემონსტრაციას წინ მიუძღოდა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის სურათები! ხალხს ეგონა, რომ ამ სურათებს ქვეშ პოლიცია არ ესროდა და შესძლებდნენ სასახლემდე მისვლას. მოსტყუვდნენ დემონსტრანტები მაშინ. მოსტყუვდნენ თბილისში ამჟამადაც. ამ ხერხმა მხოლოდ უცხოეთის პრესა შეიყვანა შეცდომაში, მაგრამ მოსკოვმა მშვენივრად იცის რასაც ითხოვდა ქართველი ხალხი. ამას მოწმობს სულ ბოლო დროს მიღებული ცნობები, რომ სასტიკი რეპრესიებია დაწყებული არა მხოლოდ კომპარტიის წევრთა შორის, არამედ სრულიად უპარტიო და პოლიტიკის გარეშე მდგომ პირთა შორისაც.

ამრიგად, თბილისის დემონსტრაციები მეტად გაბედული და აშკარა პროტესტია მოსკოვის უხეში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს არის არა სტალინის სასარგებლო, არამედ მის წინააღმდეგ წარმოებული ძველი ბრძოლის გაგრძელება და ახალი ეტაპი.

## ბ ა ლ ა დ ა

1

ომგადახდილი ჭაბუკი სარეცელზე წევს,
თავს მეუღლე დასდგომია ვერ იკავებს ცრემლს,
მომაკვდავის სუსტი მაჯა შეუმჩნევლად სცემს.

თვალი ოდნავ გაახილა; ეს ლა უთხრა ქალს:
„გაუფრთხილდი ჩვენს პატარას ვით საკუთარ თვალს
ჩვენს იმედს და სიამაყეს, ბურჯს და მომავალს“.

კარში ქარი აზვიადდა, ცაში ღრუბლებს ჰხევს,
ახმაურებს დადუმებულ ჭაობებს და ხევს,
გაყვითლებულ ხეთა ფოთლებს ცაში სვეტად სწევს.
ომგადახდილი ჭაბუკი უმოძრაოდ წევს.

2

დრო გარბოდა. ახალგაზრდა ქვრივი ზრდიდა შვილს,
დღე დასვენებას იკლებდა, ღამ-ღამობით ძილს,
არ აკლებდა დედის ერთას ალერს ტკბილს.
დღე და ღამე მუშაობდა, არ ზოგავდა ჯანს,
შვილს კოპწიად მოჰკაზმავდა — უნდა სჯობდეს სხვას,
უკოცნიდა ფირუზ თვალებს — მამილოსას ჰგავს.

უნახავდა მამის ჩოხას, ხანჯალს, გულის პირს;
დადიოდა ულრან ტყეში, უზიდავდა ხილს.
ვაჟი მთვარეს დაამსგავსა, ვარდს კოკობ გაშლილს.

ტანჯვითა და გაჭირვებით ზრდიდა ქვრივი შვილს.

3

დავაჟკაცდა თვალფიროზა — ჰგავს წერწეტა წნორს.
არწივს ისარს არ ააცდენს, ჰხოცავს მწყერს და გნოლს
მალვით ქალებს უთვალთვალებს — ეძებს გულის სწორს.

ლამაზია თვალფიროზა, სად უპოვნი ტოლს.

4

სიყვარული ძლიერია — დაარბილებს კაჟს,
შეუყვარდა თვალმაყვალა ფიროზთვალა ვაჟს,
სატრფო, გრძნობის სამსხვერპლოზე მოითხოვდა ბაჟს.

გულქვა სატრფო დედის ერთას სთხოვდა დედის გულს:
—„შენ მიყვარხარ, ჩემო გიჟო, დედა შენი მძულს,
მე შენთვის არ დავიშურებ სიცოცხლეს და სულს.

„შენად მაშინ დაიგულებ ჩემს ბაგეს და ყელს
მხოლოდ მაშინ დაიოკებ გრძნობას შმაგს და ხელს,
როცა ლანგარზე დადებულს გულს მომიტან ცხელს.

„თუ არ გინდა გამეცალე!“ — კარზე უშვერს ხელს.

5

თავი სიზმარში ეგონა სიყვარულით მთვრალს
დედის ჯაფა და ამაგი გაატანა ქარს,
და ჭალარას მშვიდათ მძინარს მამის ხანჯლით ჰკლავს.
ვერცხლის ლანგარს გადმოიღებს, ზედ დედის გულს სდებს,
სატრფოსაკენ ეშურება, მოკლედ მოსჭრის გზებს,
ნისლი ცრემლად მოეფინა ჭიუხებს და მთებს.

6

მიჯნურისკენ ეჩქარება, არ უყურებს გზას,
ფიქრით მალდურს ეფერება ფეხი წაჰკრა ქვას
და მიწაზე წაქცეული ისმენს დედის ხმას:
—„თვალფიროზავ რა შეგემთხვა, რათ დაეცი ძირს?
ადე, დედა გენაცვალოს, რამე ხომ არ გჭირს?
აგაცდინოს ღმერთმა ავბედს, დუშმანს, გულის ჭირს!“

გზაზე გდია დედის გული და აღარა ძგერს;
ქარი ხვეტავს რუხ შარაზე ფრთებფარფატა მტვერს,
თმას უწეწავს მოღალატეს, ერთგულ დედის მკვლელს.

ქარი ვარცხნის ყვავილებით გადაჩითულ ველს.

7

გონს მოვიდა. კარგად არჩევს სინათლეს და ბნელს,
ჰხედავს სისხლში გასვრილ თითებს, დანაშაულს ძნელს.
თავში ხელი იტაცა და მიაშურა ტყეს.
შეიშალა, მაგრამ მაინც დანაშაულს გრძნობს,
მზიან დარში დამნაშავის გულში მაინც სთოვს,
დაღესტანში გადიხვეწა — ლეკებს შველას სთხოვს.

ლეგენდა კი მოეფინა ქედებსა და ბარს,
მდორე ჭოროხს, ქაფქაფა თერგს, მოდუდუნე მტკვარს,
რომ შვილს დედის გულის ფასი არავინა ჰყავს.

**გიორგი ლოლუა**

***

**ივნისის 10-ს,** ნაშუადღევის სრულ 3 საათზე 840 მადისონ ავ., სასტუმრო ვესტბორის დარბაზში ბ-ნი ალ. ცომაია წაიკითხავს ისტორიულ ნარკვევს:

— **„თამარ მეფე. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“**

კრებაზე დასწრება თავისუფალია.

გთხოვთ ეს ცნობა გადასცეთ ვისაც ხვდებით

**ეროვნული ერთობის კომიტეტი**

---

გონებთ, რომ სპარსელებსა და თურქმენებს შორის დიდი სიძულვილი სუფევდა, ამ ღონისძიების ეფექტი ადვილად წარმოსადგენი იქნება. პირველი ბრძოლები ისევ კრწანისის ველზე დაიწყო: სპარსელების წინმავალი იოანე ბატონიშვილის ნაწილს შეება. ქართველები თავდაცვიდან ჩქარა იერიშზე გადავიდნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. სპარსული ნაწილები დიდი ძალით უტევენ ქართულ პოზიციებს. იოანე ბატონიშვილის ნაწილი ნახევრდება და ისიც არის მტრის რიცხვითი უპირატესობამ შეტაკების ბედი უნდა გადასწყვიტოს, რომ მოულოდნელად იქ გაჩნდება თვით მეფე, ვახტანგ ბატონიშვილისა და დამხმარე ნაწილების თანხლებით. მეფის ჩარევა დარღვეულ წონასწორობას მყისვე აღადგენს.

სურათის სისრულისათვის ზედმეტი არ იქნება შევეხოთ ერთ კერძო ეპიზოდს. ბრძოლის აღმწერლები გაკვირვებით აღნიშნავენ ამ ამბავს: სწორედ მაშინ, როცა ერეკლემ საფრთხეში მყოფი იოანეს პოზიციებს მიატანა, მეფის ამალას გამოეყო ერთი ძველი მებრძოლი, მეფის კარის მომღერალი თავადი დავით მაჩაბელი. ის მშვიდად ქვაზე ჩამოჯდება და ამ სამკვდრო - სასიცოცხლო ხელჩართული ბრძოლის დროს თავის ფანდურს ააჟღერებს და მომხიბლავი ხმით დასძახებს ხალხურ საგმირო სიმღერებს. ირგვლივ ხმალი და ტყვია ზუზუნებს — დავით მაჩაბელი ფანდურს უკრავს და შერჩეული ლექსებით მეომრებს ამხნევებს! გულადობისა და შეგნებული თავგანწირვის იშვიათი სურათია! დავით მაჩაბელი რაინდი და უშიშარი მეფის ღირსეული რაინდია! მისი სიმღერებითა და მეფის უშუალო მეთაურობით გამხნევებული ქართველობა მტერს ისეთი ძალით უტევს, რომ იოანე და ვახტანგ ბატონიშვილების რაზმები თვით შაჰის სადგომამდე იჭრებიან და შაჰის თვალ-წინ სპარსელებს დროშებს სტაცებენ! აღა მაჰმად ხანი იძულებულია თავისი უკანასკნელი მარაგი, მაზანდერანის ნაწილებიც ბრძოლაში შეიყვანოს. ქართველი მეფის მარაგი უკვე ამოწურულია. მას მხოლოდ რამდენიმე ასი კაცი ჰყავს მებრძოლთა მისაშველებლად. ამ ძალებით მტრის შეჩერება შეუძლებელია. სპარსელების რიცხვი ქართველებისას ათჯერ სჭარბობს. ერთი ათის წინააღმდეგ! ნიჭიერი სტრატეგია და მეომართა გმირობა ამ რიცხვითი უთანასწორობას ველარ დაარღვევს. თბილისი განწირული იყო. ხელჩართულ ბრძოლაში იღუპება ქართული ჯარის დიდი ნაწილი. ისტორიამ დაიმახსოვრა 300 არაგველის თავგანწირვა, რომლებმაც უკან დახევას ბრძოლის ველზე სიკვდილი ამჯობინეს. აქვე დაეცა არტილერიის უფროსი, მეფის ნათლული გიორგი გურამიშვილი: ყოველი მხრიდან გარშემორტყმულს, მრავალ ადგილას დაჭრილს, უკანასკნელი ყუმბარის გასროლის შემდეგ ზარბაზანზე გადაფარებულს, სპარსელები ხმლით აჰკუწავენ ნაწილ-ნაწილად. ბატონიშვილები ვახტანგი და იოანე, თავადი ჯანდიერი და მრავალი სხვები გაბედულებისა და სიმარჯვის იშვიათი მაგალითებით სამუდამოდ ეწერებიან სიკვდილის წინაშე სრულიად უშიშარ, უდრეკ რაინდთა რიცხვში.

შუა დღისათვის კოჯრის გზიდან გამოჩდა ქართული ჯარის ზურგში მოქცეული მელიქ მეჯნუნის ნაწილებიც. ორი მხრივ ცეცხლს შუა მომწყვდეული მეფე ამ ალყას უსხლტება და იხევს ხარფუხისაკენ. სპარსელები ამ მომენტით სარგებლობენ და მთავარი ძალებით უტევენ დავით ბატონიშვილს, რომელიც თაბორის მთიდან მტერს დიდ ზარალს აყენებდა. თაბორის მთის მოიერიშე ჯარს შაჰმა 3 ათასი ახალი ჯარისკაცი მიაშველა. ქართველებმა სამი იერიში ზედიზედ მოიგერიეს და ბოლოს დიდი მსხვერპლის ფასად ძველი პოზიციები შეინარჩუნეს. ნაშუადღევის 2 საათისათვის ბრძოლები უკვე ხარფუხში სწარმოებს. მეტეხის გარნიზონი მედგრად იცავს ციხესთან მისავალ გზებს და შეუჩერებლივ უშენს ციხის 16 ზარბაზანს ორთაჭალის ბაღებით მომავალ მტერს. ერეკლე ყველგან არის, ის დაჰქრის ერთი ნაწილიდან მეორისაკენ. თავის ჯარისკაცთა შეთხელებულ რიგებს ამხნევებს, ბრძანებებს აძლევს. უკან დახევას ბრძოლის ველზე სიკვდილი ურჩევნია. გაკერპებული, ბრაზითა და ბრძოლის სურვილით გატაცებული მეფე კიდევ ერთხელ შევარდება ბრძოლის შუა გულში და ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ უსათუოდ დაიღუპებოდა თავის შვილისშვილ იოანეს დიდი სიმხნე რომ არ გამოეჩინაო. იოანე ბატონიშვილი 300 ცხენოსნით შეჭრილა მაზანდერანის ქვეითა ჯარის მორევში და სასიკვდილოდ თავგადადებული, უკვე დაღლილ-დაქანცული მეფე ბრძოლიდან ძალით გამოუყვანიათ.

ნაშუადღევის 5 საათისათვის ქართული ჯარიდან მხოლოდ რამდენიმე ასი კაცია გადარჩენილი და ისიც დაჭრილები! სასოწარკვეთილი მეფე ავლაბრიდან უკანასკნელად გადმოხედავს თავის სატახტო ქალაქს და გულმოკლული მთებისაკენ იხევს.

სპარსელებს გზა გახსნილი ჰქონდათ. მეორე დილით სპარსეთის შაჰს ქალაქში ჯევად ხანი შემოაცილებს და მეფის სასახლეში მიიყვანს. შაჰი თბილისს დაათვალიერებს, მეფის სასახლისა და სხვა წარჩინებულთა განძეულობას თითონ ითვისებს და შემდეგ სამი დღის თავისუფლებას აძლევს თავის ჯარს. ეს დრო საკმარისი იყო ქალაქის სრულიად გასანადგურებლად. თბილისში დარჩენილი მოსახლეობიდან სპარსელებმა ამოხოცეს იმ დღეებში 25 ათასი — უმთავრესად მოხუცები, ქალები და ბავშვები, რომელთაც მთებში გახიზვნა ვერ მოესწროთ. სამი დღის შემდეგ შაჰმა ბრძანება გასცა ქალაქი მთლად გადაეწვათ და ამ ოპერაციას თითონვე ხელმძღვანელობდა სოლოლაკის მთიდან.

ერთ დროს მდიდარ, ლამაზი სასახლეებითა და ქარვასლებით, დიდებული ეკლესიებითა და ბაღ-მოედნებით განთქმულ ქალაქში სპარსელებმა ქვა-ქვაზე დაადუღეს. ეს იყო ნამდვილი კატასტროფა. თვით რუსის ისტორიკოსი, გენ. პოტტო, რომელიც კარგად ხედავ და ამ უბედურების გამომწვევ მიზეზს და ამიტომ დაინტერესებული არ იყო მის გაზვიადებაში სწერდა: „აყვავებულ ქალაქში, თავისი დიდებული ქრისტიანული ტაძრებითა და სასახლეებით ქვა ქვაზე არ დარჩა. ის ისეთ ნანგრევებად აქციეს, რომ ერეკლეს დაებადა აზრი სულ ხელი აელო თბილისზე და გადარჩენილი მოსახლეობა სხვაგან გადაესახლებინა“ო.

ეს გამანადგურებელი თავდასხმა, როგორც დავინახეთ გამოწვეული იყო სპარსეთის სურვილით დაერღვია რუსეთ - საქართველოს კავშირი. რუსეთმა სპარსეთის სამზადისის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა. არსებული ხელშეკრულების ძალით ის მოვალე იყო საქართველოს დახმარებოდა ტერიტორიის დასაცავად (იხ. მუხლი 2 და 6). ეს იყო ხელშეკრულების დედა-აზრი. რუსეთმა ეს პირობა დაარღვია: სპარსეთის თავდასხმის დროს საქართველოს არც ერთი ჯარისკაცი არ მიაშველა და მტერს აცალა თბილისი დაენგრია. ამ დროიდან 1783 წლის ხელშეკრულება ჰკარგავს იურიდიულ ძალას. ასე ფიქრობს საერთაშორისო სამართლის ყველა ევროპიელი სპეციალისტი, ვინც ეს საკითხი შეისწავლა: მაგ. შვეიცარელი პროფესორები ე. ნისსი, ვ. ნიპოლდი, ვატელი, ფრანგი ლუი ლე-ფური და სხ.

ეს არის კიდევ ერთი მაგალითი თუ როგორ „გვიშველა“ და „გვიხსნა“ რუსეთმა.

---

ეს სტატია შედგენილია არხეოგრაფიული კომისიის აქტების, ნ. დუბროვინის, გენ. პოტტოს, ბუტკოვის, ალ. ორბელიანის, პლ. იოსელიანის, ს. კაკაბაძის და სხვ. მასალების მიხედვით.

**ალ. ცომაია**

**EDITORIAL BOARD:** Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.
**EDITOR IN CHIEF:** D. Sindikeli.
12-29 — 120 St. College Point. L. I.

Printed by Rausen Bros., 142 E. 32nd Street, N. Y. C.